



0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15^ა
15^ა, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 01-02/08/1769
30/01/2017

1769-01-02/08-2-201701301444



„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“-ს
დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

სამინისტროში 2016 წლის 17 ნოემბერს შემოსული თქვენი №FOI11/16-001 განცხადების
პასუხად, წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:


1. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ერთჯერადი ფულადი დახმარება (კომპენსაცია) მიღებული აქვს 5 387 აქტიური სტატუსის მქონე დევნილ ოჯახს.
აქედან, სახელმწიფომ 2008 წლის ომით დაზარალებულ 1 700 ოჯახზე 2009 წელს გასცა საერთო ჯამში 28 311 000.00 ლარი, ხოლო 2010 წელს, 232 ოჯახზე გასცა 4 120 768 ლარი. დანარჩენმა ოჯახებმა საკომპენსაციო ფულადი დახმარება მიიღეს სხვადასხვა ინვესტორის მიერ.
2. დღეის მდგომარეობით, საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე რეგისტრირებულია 29 603 განაცხადი, კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვის თაობაზე - 8 732 განაცხადი, ხოლო იპოთეკური სესხის დაფარვის თაობაზე შევსებულია 531 განაცხადი.
აქვე განგიმარტავთ, რომ განაცხადების რეესტრები დგება ცალკეულ შესასახლებელ ობიექტებზე და შესაბამისად, ქულების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ობიექტების მიხედვით არის შესაძლებელი.
3. 2016 წელს 954 დევნილ ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართი ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ შენობებში. აღნიშნულმა ხარჯმა შეადგინა 49 134 560.02 ლარი.
4. 2016 წელს შესყიდულ იქნა 750 სახლი და ხარჯმა შეადგინა 15 039 064.80 ლარი.
გარდა ამისა, ამავე წელს გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (KfW) დევნილი ოჯახებისათვის გადასაცემად გამოისყიდა 37 სახლი.

5. 2016 წელს გამოსყიდულ იქნა 42 დევნილთა ჩასახლების ობიექტი 118 ოჯახისთვის და გამოსყიდვის თანხამ შეადგინა 4 521 013,83 ლარი.

გარდა ამისა, სამინისტრომ 2016 წელს იპოთეკური სესხი დაუფარა 44 დევნილ ოჯახს, 857 567.28 ლარის ოდენობით.

პატივისცემით,

გოგუცა გურული



საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი